ხალგასრული ქართული

გამოდის გაზეთის 1921 წლიდან

შაბათი 29 დეკემბერი № 147 (11633) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

27 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელიც გახსნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

დეპუტატებმა პატივი მიაგეს საავტომობილო კატასტროფაში დაღუპული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის გუხულა ჯაფარიძის ხსოვნას.

შემდეგ სესია შეუდგა დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ნუგზარ მოლოდინაშვილმა დამწყებთა გააცნო ამნისტიის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე კანონის პროექტი, რომელიც მიიღეს.

1991 წლისათვის საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზის შესახებ მოზსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ომარ ვარძელაშვილმა.

ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები ავთანდილ ომნაძე, ნოდარ ნათაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი, გურამ ქაშაკაშვილი და სხვები.

მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა გურამ აბსანძემ.

ამ საკითხის გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ დეპუტატები მაია მაჭავარიანი, გურამ პეტრიაშვილი, ანზორ საკანდელიძე, ლოვარდ ტუხაშვილი, რამაზ სურმანიძე და სხვები.

დასკვნა ამ საკითხზე გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ტარიელ გელანტიამ, რის შემდეგაც გაჩაღდა ხანგრძლივ ცხარე აზრთა გაზიარება, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ბაკურ გულუა, რომან გოცირიძე, გივი თაქთაქიშვილი, გელა ჩორგოლაშვილი, ნოდარ ნათაძე, ირინე ტალიაშვილი, პაატა კოლუაშვილი, მინდია ხალუქვაძე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ომარ ვარძელაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა და სხვები.

სესიამ მიიღო დადგენილება 1991 წლისათვის საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზის შესახებ. იღებენ კანონს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, დადგენილებას რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე.

დეპუტატებმა განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის საკითხი, რომლის გამო კანონის პროექტი წარმოადგინა დეპუტატმა დავით კუპრეიშვილმა. კამათში გამოვიდნენ დეპუტატები თეიმურაზ ქორიძე, დავით ბერძენიშვილი, თედო პაატაშვილი, ზაზა კახიანი, ლევან ალექსიძე, ავთანდილ საყვარელიძე, ნიკოლოზ ხაჭაპურიძე, თედო ნინიძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი და სხვები.

სესიამ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის კანონი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულების საკითხზე გამოვიდა დეპუტატი გიორგი გულბანი.

უზენაესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი კანონი.

რეფერენდუმის კანონის თაობაზე გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი.

სესიამ მიიღო დადგენილება რეფერენდუმის კანონპროექტის პუბლიკაციის თაობაზე მისი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

დეპუტატებმა განიხილეს საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის საკითხი და მიიღეს დადგენილება შესაბამისი კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე. მიღებულია საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების კანონი.

სესიამ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი მინდია უგრეზელიძე, მის პირველ მოადგილედ — დეპუტატი ვაჟა აბაკელია.

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად უზენაესმა საბჭომ დანიშნა ვახტანგ რაზმაძე.

28 დეკემბერს სესია მუშაობას განაგრძობდა.

სს „საქართველო“

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს

ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე პროტესტს გამოთქვამს, იმის გამო, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბრის კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებით გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც 1922 წელს შეიქმნა. პარლამენტის დონეზე განხორციელდა უპრეცედენტო აქტი — შეილახა მცირერიცხოვანი ხალხის უფლებები, საჯაროდ უგულებელყოფილ იქნა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ინტერესები და მისწრაფებანი.

ეს გადაწყვეტილება ვერ ეგუება ქართველი ერის უმდიდრეს ჰუმანისტურ ტრადიციებს, თქვენს აღთქმებს იმის თაობაზე, რომ დემოკრატიული პრინციპების ერთგულნი ხართ და პატივს სცემთ სხვა ხალხთა უფლებებს. შეუძლებელია ჭეშმარიტი თავისუფლების მოპოვება სხვა ხალხების უფლებათა თავისუფლებათა ხელყოფით. ქართველი და ოსი ხალხების ისტორიული, კულტურული და მეგობრული ურთიერთობა საუკუნეობით ყალიბდებოდა. ამ კავშირურთიერთობის გაწყვეტის ყოველგვარი ცდების, დამღუპველი, ტრაგიკული შედეგები სავსებით თვალსაჩინოა.

იმედი გვაქვს, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო პოლიტიკურ სიბრძნეს გამოიჩენს და გააუქმებს მიღებულ გადაწყვეტილებას. ამ ისტორიულ ნაბიჯს ღირსეულად დააფასებენ ჩვენი ხალხები.

ჩრდილოეთ ოსეთის სახს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. გალაზოვი.
1990 წლის 14 დეკემბერი.

ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის დადგენილების გამო თქვენი პროტესტის პასუხად საჭიროდ ვთვლი განვაცხადო:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება კანონიერია როგორც მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე იურიდიული საფუძვლების მიხედვითაც, რაც აღნიშნული იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე ჩემს მოხსენებაში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ამა წლის 14 დეკემბრის ნომერში.

2. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება იმ დროსაც კი საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც არ ცნობდნენ ეროვნულ უმცირესობათა მიერ პოლიტიკური ავტონომიის შექმნის უფლებას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ხელოვნურად მაინც შეიქმნა და თანაც ოდინდელ ქართულ ტერიტორიაზე, ქართველებით დასახლებული სოფლებისა და ქალაქ ცხინვალის ოლქის საზღვრებში მოქცევის გზით, რითაც დაირღვა შიდა ქართლის რეგიონის ერთადერთი მკვიდრი მოსახლეობის უფლებები.

3. თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმ ფაქტს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის არამართლზომიერების მიუხედავად, ოსი მოსახლეობის უფლებები არათუ ილახებოდა, არამედ, პირიქით, მას სრული შესაძლებლობა მიეცა იმისა, რომ მაქსიმალურად განვითარებინა ეროვნული კულტურა, ეკონომიკა, პოლიტიკური თვითმმართველობა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დონეზე, რასაც ვერ ვიტყვი ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოსი მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ.

4. მიუხედავად ყველა ამ უპირატესობისა, რომლებიც მათ ოლქის ქართველი მოსახლეობის უფლებათა აშკარა შელახვის ფონზე მოიპოვეს, სეპარატისტთა ჯგუფმა უკვე კარგა ხანია აიღო კურსი ამ რეგიონში ფაქტობრივად დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნისა, რამაც ასახვა პოვა „სუვერენული რესპუბლიკის“ გამომცხადებელი საოლქო საბჭოს მთელ რიგ გადაწყვეტილებებში, აგრეთვე მოცემული რესპუბლიკის ე. წ. უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩატარებაში.

ოლქის ხელმძღვანელობამ უგულებელყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არაერთი მითითება ამ აქტების არაკონსტიტუციურობის შესახებ, რის გამოც აუცილებელი გახდა გადამწყვეტი ზომების მიღება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად და ამით ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად.

და ბოლოს, საჭიროდ ვთვლით ყურადღება გაგიმახვილოთ თქვენი პროტესტის დაუშვებელ ტონზე, უხეშად რომ ამახინჯებს შექმნილ ვითარებაში საქმის ფაქტობრივ მხარეს. ყოველივე ეს თქვენი მხრიდან უხეში ჩარევაა ჩვენი რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, რასაც შეიძლება ერთობ არასასურველი შედეგები მოჰყვეს, რომლებიც კიდევ უფრო გამწვავებენ ისედაც დაძაბულ ვითარებას და გამოიწვევენ დაძაბულობის პროვოცირებას ჩვენს რესპუბლიკებს შორის. ასეთ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ აირჩია

მინდია გურამის ძე უგრეზელიძე



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ დანიშნა

ვახტანგ აპოლონის ძე რაზმაძე



საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად

ეროვნული ბიბლიოთეკა



ДЕКЛАРАЦИЯ

ОБ ОБРАЗОВАНИИ СОЮЗА СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК.

ДОГОВОР

ОБ ОБРАЗОВАНИИ СОЮЗА СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК.

ПОДПИСАЛИ

члены полномочных делегаций от:

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

ამიერკავკასიის კონფედერაციის II კონფერენციის დელეგატთა ჯგუფი. 1922 წელი.

ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს შექმნისა და მასში საქართველოს შესვლის საკითხის კონსტიტუციონი გადაწყვეტისთვის 1922 წლის 10 დეკემბერს გაიმართა ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობა, რომელშიც მოისმინა ს. ორჯონიკიძის მოხსენება სსრ კავშირის შექმნის შესახებ. ყრილობის რეზოლუციაში სსრ კავშირის შექმნა და მასში ამიერკავკასიის ფედერაციის შესვლა მიჩნეულია ღონიერ და ფეხადგმულად ლენინიზმისგან. ამის შემდგომ ყრილობამ საბჭოების სრულიად „საკავშირო ყრილობის დელეგატებად აირჩია ი. ა. ტალინი, ბ. ცხაკაია, ს. ორჯონიკიძე, ს. ყიროვი, ა. მიასნიკოვი და სხვები, რომელთაც დაეგზავნათ ხელის მოწერა საკავშირო ხელშეკრულებაზე. ყრილობამ მასასრულებელი დელეგატ ბ. ყიროვისი ბ. ი. ლენინს. მასში ნათქვამია: „ადავაყენეთ რა მტკიცე ერთგული მშვიდობისმოყვარეობა, როგორც საწინდარი საბჭოთა ხელისუფლების უარეყოფისა ამიერკავკასიაში და შემოდგომაზე რა ერთობა ოჯახში სსრ კავშირი, ჩვენ გამოვიკვლიეთ მტკიცე რწმენა, რომ თქვენ გამოცდილი ხელმძღვანელებით და კონსტიტუციის ღონისძიით ჩვენ შეგიძლიან აკეთებთ ხელისუფლების მძლავრად განმტკიცებას, ჩვენი ერთობილი მეურვეობის აღორძინებას“.

ამავე პერიოდში მიმდინარეობდა ხელოვნებისა და ეკონომიის საბჭოების ყრილობები, რომელებმაც მხარი დაუჭიჭეს სსრ კავშირის შექმნას. სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობამ ი. ბ. სტალინის მოხსენების სიფაქიზეზე, რომელიც ეყრდნობოდა ვ. ი. ლენინის მითითებებს, მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სსრ კავშირში საბჭოთაშორისი გაერთიანების შესახებ.

საბჭოების ყრილობების მიერ რეპუბლიკებში არჩეულ უფლებამოსილ დელეგატთა კონფერენციამ, ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით, 1922 წლის 29 დეკემბერს განიხილა და მოიწონა სსრ კავშირის შექმნის შესახებ „დეკლარაციისა“ და „ხელშეკრულების“ პროექტი, ასევე „ხელშეკრულების“ ერთ-ერთ ნაწილად „ეროვნული ერთობის“ ანუ „ეროვნული ფედერაციის“ ორგანოებად ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, ეროვნებათა საბჭოს, ეროვნებათა ორგანოებად ეროვნებათა ფედერაციის ეროვნული ერთობის

ეროვნებათა ერთიანობა

ყველა ხალხთა ერთიანობისა საქველმოქმედო ასოციაციის „ადამიანობა“ და ამავე ორგანიზაციის ფირმა „ერგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული „ჯიუ-ჯიტსუ“ ტრადიციულ ეროვნულ სახელმწიფოამდე

(ისევ კონსტიტუციური მონარქიის შესახებ)

ჩვენს საზოგადოებას, სამწუხაროდ, მაინც ზერელე წარმოდგენა აქვს ჩვენს პოლიტიკურ ტრადიციებზე და მითუმეტეს, მონარქიაზე.

როცა ამბობენ, დასავლეთ ევროპაში მონარქის პოლიტიკური ფიგურა და მნიშვნელობა წმინდა სიმბოლურ ზასიათს ატარებსო (თუმცა დაუჯერებელია, ეს დალოცვილი „სიმბოლო“ ოდენ ინერტული და ამორფული იყოს ამ ქვეყანათა პოლიტიკურ ცხოვრებაში), მე ამაში ქართველობის დაშოშმინების ცდას ვხედავ, აქაოდა, ნუ გეშინიათ, მეფე არც „ბუაა“ და არც „ექსპლოატატორი“. მაგრამ, ვგონებ, უკვე დროა, რომ ეს ცნება, „მონარქის სიმბოლურობა“ რომ ჰქვია, ქართული სამრეკლოდანაც გავიაზროთ.

მე ასე მეჩვენება: განსხვავებით ევროპული მონარქიებისაგან, ბაგრატოვანი მეფე ესთეტურ და ყაფუკ სიმბოლოდ კი არა, ქმედით, ერის სულიერი სიმხნევისა და ღირსების ამამაღლებელ რეალურ კონკრეტულ ძალად და პოლიტიკურ ცნებად სჭირდება დღეს მწევრებით და მარეკებით გარშემოჯარულ მარტოხელა საქართველოს!

სხვა იყო და სხვაა ქართველი ერის დამოკიდებულება ბაგრატოვანთა დინასტიისადმი და სხვა ინგლისელებისა თუ ესპანელებისა —ჰანოვერებთან და ბურბონებთან, თუნდაც იმიტომ, რომ არც ერთია ჯიშით ინგლისელი და არც მეორე — ესპანელი!

სულ ახლახან იაპონიის ახალი იმპერატორის კურთხევას თან მოჰყვა პრესისა და საზოგადოების მძლავრი ანტირეაქცია: აქაოდა, რიტუალურ ცერემონიალში იმპერატორის ღვთაებრივი წარმოშობისადმი მიძღვნილი ყოვლად დაუშვებელი ელემენტები გაიპარაო!

ჩვენ არამარტო საკუთარი თავი, არამედ პოლიტიკური იდეაც და ამ იდეის ცოცხალი განსახიერება — გიორგი XIV ესპანელი, ჩვენი საკუთარი მიწისმიერი ჯიშისა გვყავს და კაცმა რომ თქვას, ამას პოლიტიკური ბედნიერებაც კი უნდა დავარქვათ!

ჩემმა მეგობარმა დამცინა: ძლივს ვეღირსეთ პიროვნების წინაშე ფორთხვა რომ საძრახისი გახდა და თქვენ, მონარქისტებს, ისევ პიროვნების და დიქტატის კულტის აღდგენა გწადიათო.

ვაღიარებ: ვერა და ვერ დავარწმუნე, რომ კონსტიტუციურ-პარლამენტური მონარქიის პირობებში კონკრეტული მეფე შეუძლებელია გახდეს კულტი ან დიქტატორი-მეთქი! რომ იგი ცოცხალი სიმბოლოა ერის და სახელმწიფოს ჰარიტეტული ერთობისა და ურთიერთრწმენისა! რომ მისდამი თაყვანისცემა ესაა ფარნავაზიან და დავითიანი სახელმწიფოებრივი ტრადიციებისადმი თაყვანისცემა და არა კონკრეტული პიროვნების გაღმერთება ან გაფეტიშება!

მართლაც, ჩვენს ისტორიას, რამდენადაც ვიცი, არ ახსოვს არც ბაგრატიონი ტირანი და არც ბაგრატიონი კულტი, თვინიერ თამარისა! დიახ, თამარისა! 800 წელიწადია, კვლავ ძალუმად ისმის „ჰორ, სიხარულო, თამარ დედოფალო“.

ასე იყო! ასე არის! ასე იქნება!

თუმცა, ჩვენ კონსტიტუციურ-მონარქისტულ ყაიდის მართვაში გამოცდილება არაგვაქვს?! საოცარია, ჯერ ერთი, თუ გამოცდილებაზე მიდგა საქმე, ყველაზე „მსუყე“ გამოცდილება ჩვენ რუსულ-საბჭოური ყაიდის 200-წლიან იმპერიულ მმართველობაში გვაქვს.

რაც შეეხება დემოკრატიული საქართველოს მართვის 33-თვიან „გამოცდილებას“, ქართველ სოციალ-დემოკრატებს არც მაშინ (და, ვგონებ, არც დღეს!) საერთოდ არ გახსენებიათ და, ამიტომ, არც გამოუყენებიათ საკუთარი ერის ისტორიული გამოცდილება! XVIII საუკუნის ბოლო წლებში ხომ ქართლ-კახეთის მოწინავე წრეებში და სამეფო კარზე გულმოდგინედ მუშავდებოდა „ფრანციის მსგავსი სახელმწიფოს სტრუქტურული მექანიზმები“, რაც „კონსტიტუციურ მონარქიას, ალბათ, არა, მაგრამ „მონარქიულ-კონსტიტუციურ“ საქართველოს მაინც დაუტოვებდა შთამომავლობას!

და ვგონებ, არც ისაა გამორიცხული, რომ ყოველგვარი დემოკრატიზმის მოძულე რუსულმა იმპერიამ და მისმა უდიდესმა აპოლოგეტებმა პავლე პირველმა და ალექსანდრე დიდმა სწორედ ქართველთა შორის ამ ზემოთნახსენები პოლიტიკური დუღილის გამო იჩქარეს საქართველოს ანექსიაც და ბაგრატიონთა ტახტის ლიკვიდაციაც!

ნიშანდობლივია: წინასაარჩევნო ტელე-შოუს დროს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, პირზე რომ ნერწყვი მოგვსვლოდა, მედიდურად ჩამოგვითვალეს ევროპის „მსუყე“ სახელმწიფოები, სადაც ღვთით ბოძებული სიკეთე თურმე, სწორედ სოციალ-დემოკრატთა თაგვადადებული მოღვაწეობის შედეგი ყოფილა და არც „გახსენებიათ“, რომ ის სვედალოცვილი ქვეყნები სულ კონსტიტუციური მონარქიის შვილები თუ არა, შვილობილები მაინც არიან და როგორც „კოუებში“ ეტყობათ, სულ ასე აპირებენ ცხოვრებას.

ყველაზე მნიშვნელოვანი კონტრარგუმენტი კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრების წინააღმდეგ მაინც ბატონ ედუარდ კოდუას ეკუთვნის (იხ. „სახ. განათლება“ 5. X. 90):

1. რას ვებღაუჭებითო ბაგრატიონებს, მათგან მხოლოდ რამდენიმე იყო ღირსეულიო(?!). ვინაიდან დარწმუნებული ვარ, ბატონი ედუარდის აზრს ბევრი იზიარებს, კონტრარგუმენტად ერთს გავბედავდი: იქნებ ვინმემ მოძებნოს ბაგრატიონთა ზეობის ისტორიაში თუნდაც ერთი 72-წლიანი ისტორიული მონაკვეთი, რომელიც აღბეჭდილი იყოს მხოლოდ უღირსი ბაგრატიონების მოღვაწეობით.

დამისახელონ ქართული სოც. დემოკრატიის ორივე ყაიდის (ფრთის) ბარე ერთსაუკუნოვანი „გვირგვინოსნობიდან“ თუნდაც ერთი დიმიტრი! თუნდაც ერთი ქეთევანი! ერთი ლუარსაბი!... აღარას ვამბობ დავით აღმაშენებელზე! გიორგიზე!... ბაგრატზე!

2. ისევ ბატონ ედუარდ კოდუას სიტყვებს შევახსენებ მის მომხრეებს: რას აიჩემეთო ეს ბაგრატიონები?!“ ჯერ ერთი, თითქმის ამოწყდნენ, ხოლო ემაგ თქვენმა ტახტის მემკვიდრემ არც ქართული იცის და თუ იცის რაიმე, მხოლოდ „ფიატის“ მარკის მანქანებით თარეშობ (სხვათა შორის, ამ ბოლოს დამატებით ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ტახტის მემკვიდრე, თურმე, უმაღლესი კლასის იახტასაც გადასარევად მართავს!)

ჯერ ერთი, მათ, ვინც ამას წინათ საქართველოს ტელევიზიით სიონის ეკლესიაში დალოცვას და მერე თბილისის დედაციხეზე ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თაოსნობით ისტორიული ხუთჯვაროვანი ქართული სახელმწიფო დროშის აღმართვას უყურა, დამატებით მინდა ვაცნობო, რომ ის დროშა ხუთ თბილისელ ბაგრატიონ მამაკაცს ეჭირა ხელში.

მეორეც, თვითონ ტახტის მემკვიდრეს, ბატონიშვილ გიორგის, ერეკლეს ძეს, სამი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი ჰყავს.

3. ახლა, რაც თვითონ ბატონიშვილ გიორგის („მეთოთხმეტეობის“ კანდიდატს) და მის საქმიანობას შეეხება: ბატონიშვილი გიორგი მეოცე საუკუნის ყველაზე სახიფათო სპორტის ავტომარბიელობის — მსოფ ლ ი ო „შ ი ერთ-ერთი ავტორიტეტული მოასპარეზეთაგანი იყო ახალგაზრდობაში, რაც დამაჯერებლად მიანიშნებს არა მის უდარდელ „მოცალეობას“, არამედ მის ჭეშმარიტად მეფურ სიმამაცეს და მკლავმაგრობას, ხოლო ის, რაც მარქსისტული გაგებით მის ექსპლოატატორობაზე მიუთითებს (იგი „ფიატის“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფირმის დირექტორია), საბედნიეროდ მოასწავებს იმასაც, რომ ბატონიშვილი გიორგი სამგზის ლენინის ორდენოსანი და მრავალგზის სოც. შეჯიბრებაში „ბრწყინვალედ“ გამარჯვებული საბჭოთა საქართველოს ისტორიაში სახელოვნად მოღვაწე არც ერთ ცეკას მდივანზე, მინისტრთა საბჭოს არც ერთ თავმჯდომარეზე თუ რაიკომის მდივანზე ნაკლები პერსპექტიული მეურნე არ უნდა იყოს!

4. რჩება ერთი „ნაკლი“ — საძრომბლოდან შორს, არაქართულ გარემოში დაბადება და ქართული ენის არცოდნა: და ამ ნაკლის მიზეზია ის, რომ მამაჩისმა ერეკლე ბაგრატიონმა მძვინვარე კომუნისტურ ტერორს ძლივს გაასწრო შორეულ ევროპაში.

4. ბარემ, რაკი მშობლიური ენის ცოდნაზე მიდგა საქმე, მოდით, გავიხსენოთ ჩვენი წმინდა ქართულსისხლიანი კომუნისტი ფუნქციონერებიც, ყველანი, ბრწყინვალედ რომ ფლობდნენ სახელოვან მამაპაპათა ენას (ზოგი გურულ-იმერულადაც კი უკადებდა) და, ამავე დროს, წმინდა რუსულით რომ ატარებდნენ ბრძყვიალა ყრილობებს, პლენუმებსა და კონფერენციებს, სადაც, ქართულ ენასა და ისტორიაზე ბუტაფორიული ზრუნვის ნიღბით, ბრწყინვალედვე მუშავდებოდა და ეყრებოდა საფუძველი ქართველი ერის მონაპოვრთა დაფლეთას, გაჩუქებას და დევალვაციას!

ისე კი, ტრადიციონალისტთა კავშირის ინიციატივით და ზრუნვით, ესპანეთს მალე ჩავა ქართული ენის მასწავლებელი „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ პირველი ოთხი ტომით და სხვა საჭირო ქართული ნობათებით (მათ შორის ქართული ეროვნული სამოსით!)

5. ყველაზე მნიშვნელოვანი კონტრარგუმენტი — რაკი ყოველგვარი სახელმწიფო ელიტარულია (ანუ იყოფა მმართველად და მართულად!) თურმე, მეფე თავის კარზე აუცილებლად დაიახლოვებს ნათესაობას და თანამდებობა გახდება ჯიშობრივ-მემკვიდრეობითი (კარნული) ანუ დაგვეღუპება დემოკრატია!.. არა მარტო ქართველთა მოდგმამ, არამედ მთელი კაცობრიობის სოციალურმა და პოლიტიკურმა ისტორიამ დღემდე უპირატესად სწორედ ამ „კარნული“ ნიშნით იარა და ამიტომ ტრადიციათა გამძლეობის ძირი მაინც ეს „კარნული“ ჯიშ-ჯილაგია; სწორედ რომ ჯიშჯილაგური „უყოლობა“ ეროვნული „სუბიექტივიზმის, ანუ სახელმწიფოდ შეკვრა-გაერთიანების სასიცოცხლო ძალა, უპირატესად ამ ნიშნით შეიძლება აიხსნას ბაგრატიონთა ფანტასტიური გამძლეობაც და თავის ჯიშნათესავთა მიერ ერთგულებაც! თემურ-გვაროვნული სისტემა ადამიანთა თანაცხოვრებისა არაა განვლილი და უკუგდებული ეტაპი! იგი საწყისთა საწყისია!

ეს ბოლო ორი წელია, მთელ ქართველობას, ვგონებ, სულ ვეშაპები და გველეშაპები გველანდება და რისი ქართველები ვიქნებით თუკი ამირანიც არ მოვიგონეთ!

რამდენადაც მახსოვს, ამირანის მითში არსად არაა ნახსენები, ჩასძახა თუ არა მწარე საყვედური ვეშაპმა ამირანს ამ უკანასკნელმა რომ დანა თუ ხანჯალი მოაფათურა ჩექმის ყელში: ნუ შობი მაგას, „მი ვსეგდა ბილი ვმესტეო“!

რაც შეეხება იმას, მოასწრო თუ არა ასე მუხანათურად გაფატრულმა ბუნების შვილმა განახლებული სახელშეკრულებო ზავის შეთავაზებაც, ამაზე ისტორია დუმს!

ნამდვილი გამფატრავი რუსეთის იმპერიისა ჯერ კიდევ მის სტომაქში ბორგავს და მისი ვინაობა ჯერ დაუდგენელია, მაგრამ ამირანის მითი და სხვა ისტორიული პარალელები ხან აქ და ხან იქ წამოყოფენ თავს ამ უმწარეს სინამდვილეში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერმა აკაკი ასათიანმა პირველი სესიის პირველ სხდომაზე, როცა მას მოსკოვს მივლინება „მიუსაჯეს“ — ყარაყორუმს მივალო, იხუმრა!

მართალია, მონღოლურ იმპერიისა საკმაოზე მეტი „დაჰყვა“ ცარისტულ და კომუნისტურ იმპერიებს, მაგრამ, ბატონ აკაკის სიტყვებმა მე მაინც „გეორგიევსკი „ამაკვიატა“! — იყო თუ არა ჩვენი კანონსა ის ფეხუბედური გეორგიევსკი-მეთქი!

არ იყო!!!

არ იყო, იმიტომ, რომ იქ, თერგისპირეთში მკლავისა და სულის საარაკო მხნეობით აღჭურვილმა პატარა კახმა ქართლ-კახეთის ერთიანი ციდა სამეფოს სახელით მაინც ღირსეული ხელშეკრულება დადო, მართალია, ერთმორწმუნე, მაგრამ მაინც გველეშაპ იმპერიასთან!

და აი, ჰა-და-ჰა, თითქოს უნდა კვლავ მოადგეს, კვლავ ერთობლივი და ოდენ „თავის თავს დაყუდნული“ საქართველოს კარიბჭეს ახალი, რიგით მეოთხე სამშვიდობო ზავი ანუ სათანამშრომლო ხელშეკრულება დიდ რუსეთთან! დიახ, „დიდთან“, ვინაიდან, რაც არ უნდა მარჯვნივ-მარცხნივ ჩამოუროგოს მან თავის უმცროს ძმებს „აზატობის“, (და, ამით, საკუთარი იმპერიის დამცრობის) „სიგელ-გურჯები“, — რუსეთის სიდიდეს და სიდიადეს არა მგონია, რამე დააკლდეს!

და თუკი გეორგიევსკი არ იყო კანონსა, ეს რიგით მეოთხე და, იმედია, სამარადჟამო ზავ-პირობა თუ „ფიც-ვერცხლი“ ისევ გეორგიევსკში უნდა შეიკრას!

მხოლოდ გეორგიევსკში და სხვაგან არსად!!!

და აი, მოგვადგა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის პირველი ყრილობაც! და, თანაც, როგორი — **გამაერთიანებელი!**

მჯერა, რომ ეს ყრილობა საყოველთაოდ გაათვალსაჩინ ო ებ ს, რომ ქართული ტრადიციების საერთო აღორძინებაში უმთავრესია დღევანდელი ქართული პოლიტიკური იდეოლოგიის კავშირისა და მემკვიდრეობის აღორძინება „ქართლის ცხოვრების“ პოლიტიკურ იდეოლოგიასთან, დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური ცნობიერების ამ ერთადერთ წყაროსთან, რომელ წყაროსაც და რომლის მსოფლმხედველობასაც ასე გულმოდგინედ წიხლავდნენ და ჩქმალავდნენ უბოროტესი ძალები მთელი 200 წლის მანძილზე.

ლერი სიხარულიძე

რედაქციისაგან:

მკითხველი უკვე გაეცნო კინორეჟისორ ლერი სიხარულიძის პუბლიცისტურ წერილებს შომავალი თავისუფალი საქართველოს სახელმწიფოებრივ სტრუქტურად კონსტიტუციური მონარქიის უპირატესობის შესახებ ბაგრატიონთა აღდგენილი დინასტიური ტახტით სათავეში (იხ. „ქართული ფილმი“ — 12.X.89 და „ახ. ივერიელი“ 22.VI.909. „ძლევაჲ“ ——№ 1). ლერი სიხარულიძის დღევანდელი წერილი საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის პირველ ყრილობას ეძღვნება, რომელიც დღეს გაიმართება. ნაგაზეთო ფართის დეფიციტის გამო წერილი შემოკლებულია.

გელით ქაშუეთთან

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენი შეახსენებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ჰუმანიტარულ მოძრაობაში „კვირაში ერთი დღე მოყვასს“, რომ შაბათს 11 საათისათვის ორდენის წევრები ტრადიციულად იკრიბებიან ქაშუეთის ტაძრის ეზოში.

ყველაზე გაჭირვებული ჩვენი თანამოძმეებისათვის თავიანთი პირადი დანაზოგიდან მოსაკითხს გაიღებენ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანაშრომლები.

სათნოების სახლის დაფუძნებამდე ტანსაცმელს ნუ მოგვაწვდით.

ჩვენს წინა განცხადებაში გაპარა შეცდომა: გასულ შაბათს სათნოების აქცია დაფინანსა ნაძალადევის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ.

სათნოების ორდენი
(ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“).

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მახალები — 93-97-21; პასუხისმგებელი მდივანი — 93-21-56; წერილების განყოფილება — 99-90-49.

გაზეთი გაფორმდა კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ვერა ბალავაძე

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, ბ. კოსტავას ქ. № 14, ინდექსი ოფსეტური წესით ნაგაზეთო კორპუსში, სიხარულის № 29 [illegible] 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 68400

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი — 380096 ბ. კოსტავას ქ. № 14.